

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №15

ქ. გარდაბანი

19 დეკემბერი 2025 წელი 12:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი:

სამირ ხიალოვი	მირზა მირზოევი
ზაზა ონიანი	ფლორა ასკაროვა
ვუგარ მამედოვი	კამრან ბაბაევი
დავით ჭინჭარაული	არკადი ფანგანი
გიორგი გურულიშვილი	ზვიადი ქართლოსიშვილი
ზურაბი ბენდელიანი	ხვიჩა ჩიტიაშვილი
ლევან ნიჟარაძე	გიორგი გამეზარდაშვილი
თამარი ხაჩიძე	იოსები ძამნაშვილი
ბეთქილი კახიანი	გუსეინკულუ მუსაევი
ისლამ მამედოვი	იუსუფ მელაძე
ანი მანჩხაშვილი	ზაქირ დაშდამიროვი
ლია მეტრეველი	არაზ ვალიევი
თორნიკე ქავთარაძე	ილხამ ბაირამოვი
დავითი ებილაშვილი	ნიჩატ ისმაილოვი
ლაშა ქართლოსიშვილი	საბაილ მამედოვი
ქართლოსი მამულაძე	
ანა დადემქელიანი	
შახადატ მეხრაღიევი	
ოთარი გავაშელიშვილი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე;

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ გედეხაურმა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ბესარიონ მაისურაძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 35

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა მომხსენებლებს სთხოვა, რომ საკითხი განსახილველად გამოეტანათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე-ზურაბ ბენდელიანი, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარესთან შეთანხმებით საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს წევრების შემადგენლობაში ცვლილების შესახებ, მისი განმარტებით 2025 წლის 25 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დარეგისტრირდა საკრებულოს წევრის ლევან ხმალადის პირადი განცხადება - საკრებულოს წევრის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 ნაწილისა და „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრს - ლევან ხმალადეს ვადამდე შეუწყდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, პირადი განცხადების საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან - 2025 წლის 26 ნოემბრიდან.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 1 დეკემბრის №22/2025 განკარგულების თანახმად, ცნობილ იქნას გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება“ პარტიული სიით არჩეული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევან ხმალადის (პარტიულ სიაში №8) ადგილმონაცვლედ, ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი - ანა დადეშქელიანი (პარტიულ სიაში №16)

მომხსენებელმა ამასთანავე განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე 40 მუხლის მე-6 ნაწილისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 135-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მე-14 დღეს, შესაბამისად, ანა დადეშქელიანის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილება დაიწყო 2025 წლის 15 დეკემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა და საკრებულოს წევრებმა ანა დადეშქელიანს მიულოცეს საკრებულოს წევრობა და უსურვეს წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

2025 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სხდომა, სადაც ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თორნიკე ქავთარაძე, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ - იოსებ ძამნაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა მომხსენებლებს სთხოვა, რომ საკითხები განსახილველად გამოეტანათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 9,421 ლარით და შეადგინა - 11,439,705 ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 15,000 ლარი, 7 საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამენად.

ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად შემცირდა გამოყოფილი დაფინანსება შემდეგი პროგრამებისთვის:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სოციალური უზრუნველყოფის მუხლი -17,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური უზრუნველყოფის მუხლი - 60,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი - 28,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, შრომის ანაზღაურების მუხლი - 70,000 ლარი.

სულ - 175,000 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი - 7,200 ლარი.
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 69,500 ლარი.

- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 10,600 ლარი.
- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - 5,700 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდი - 45,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქონელი და მომსახურების მუხლი - 12,000 ლარი.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია საქონელი და მომსახურების მუხლი - 25,000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 35

წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №15 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

მიხეილ გედუხაური



(Handwritten signature of Mikheil Gedukhauri)